საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ოფიციალური დოკუმენტების ენობრივი ანალიზი

ავტორი: ნინო შარაშენიძე, ენათმეცნიერი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2022

შინაარსი

თავი I - შესავალი ... 3

პროექტის შესახებ ... 3

პროექტის წინაპირობა ... 4

კვლევის მიზანი ... 5

მასალის საკლასიფიკაციო სისტემა ... 7

თავი II - კვლევის შედეგები და ზოგადი რეკომენდაციები ... 9

1. პუნქტუაციური პრობლემები ... 9

1.1. ბრჭყალების, ორწერტილის გამოყენება ... 9

1.2. მძიმის დასმის აუცილებლობა ... 11

1.3. არასაჭირო, ზედმეტი მძიმე ... 15

2. ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური შეცდომები ... 21

3. სინტაქსური ხარვეზები ... 27

3.1. სიტყვათა არასწორი რიგი ... 27

3.2. არასწორი სინტაქსური კავშირები ... 30

3.3. რიცხვში შეუთანხმებლობა ... 32

3.4. ზერთული კონსტრუქციები ... 34

4. სტილის ხარვეზები ... 37

4.1. კალკი ... 37

4.2. აღწერითი კონსტრუქციები (ზმნის სწორი ფორმის გამოყენება აღწერითი კონსტრუქციის ნაცვლად) ... 40

4.3. ტავტოლოგია (სიტყვათა არასაჭირო გამეორება) ... 44

თავი III – სამომავლო პერსპექტივები ... 50

თავი I - შესავალი

პროექტის შესახებ

ოფიციალურ-საქმიანი ენა მოიცავს იურიდიულ დოკუმენტებს და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობის ყველა სფეროს, ასევე კერძო ბიზნესის საქმისწარმოების ყველა იმ მიმართულებას, რომლებშიც ინფორმაცია ტექსტის სახით ყალიბდება. ამდენად, ოფიციალურ-საქმიანი სტილი აისახება როგორც ადამიანის ყოველდღიურობაში, ისე სახელმწიფოსთან თუ კერძო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. შესაბამისად, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყველაზე გავრცელებული და მრავლისმომცველი სახეობა სწორედ ოფიციალურ-საქმიანი ენაა.

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენას მრავალი მახასიათებელი აქვს, იგი არის სტანდარტული, სტერეოტიპული, ფორმალური, კონკრეტული, ლაკონიური, ობიექტური, განზოგადებული; დატვირთულია დარგობრივი ტერმინოლოგიით, სპეციფიკური კონსტრუქციებით, კლიშეებით; ახასიათებს შეზღუდული სინონიმია, თავისებური შესიტყვებები, აღწერითი ვნებითი, რთული, ზოგჯერ ზერთული კონსტრუქციები.

ყველა ამ მახასიათებლისა და მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით ოფიციალურ-საქმიანი სტილის დოკუმენტაცია შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს:

1. დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების სისტემური მუშაობის სფეროს განეკუთვნება და იქმნება საქმიანობის პარალელურად;

2. დოკუმენტაცია, რომელიც ეყრდნობა გარკვეულ შაბლონებს და აქვს განმეორებითი ხასიათი სხვადასხვა სახის ინფორმაციის ჩანაცვლებით.

ორივე ტიპის ტექსტის მახასიათებელი უნდა იყოს: ენობრივი და სტილური გამართულობა, აზრის მკაფიოობა, პუნქტუაციის და სალიტერატურო ნორმების დაცვა.

დოკუმენტაციის შექმნის პროცესი თავისთავად მოიცავს პრობლემებს და ეს აუცილებლად უნდა იყოს გაცნობიერებული ცალკეული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის, რომ პირველი ჯგუფის, ანუ საქმიანობის პარალელურად შესაქმნელი დოკუმენტაციის შედგენა **დროში შეზღუდულია,** დატვირთულია დაწესებულებისათვის და კონკრეტული სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაციით, ხშირად შეიძლება დაეყრდნოს სხვა ენიდან თარგმნილ ტექსტს, ყოველივე ეს კი ქმნის იმის ალბათობას, რომ მასში შეიძლება აღმოჩნდეს ენობრივი ხარვეზები. რაც შეეხება

მეორე ჯგუფს, ე. წ. შაბლონის მიხედვით შექმნილ ტექსტებს, აქაც გასათვალისწინებელია, რომ შაბლონის ენობრივ ანალიზზე დაფუძნებული შესწავლისა და რედაქტირების გარეშე მასში დაშვებული შეცდომები განმეორებითი იქნება ამ შაბლონზე დაფუძნებულ სხვა დოკუმენტებშიც. ეს ყოველივე წარმოქმნის იმის აუცილებლობას, რომ **ამოქმედდეს დოკუმენტაციის რედაქტირების მექანიზმები,** რაც, თავის მხრივ, არის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა და წარმოადგენს ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

პროექტის წინაპირობა

2018 წლიდან საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიციატივით ტარდებოდა ტრენინგები მართლწერისა და აკადემიური წერის მიმართულებით. ტრენინგს დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. ტრენინგის თემატიკა ეხებოდა თანამედროვე ქართული ენის მართლწერის პრინციპებსა და ენობრივი მექანიზმების ანალიზს, პუნქტუაციის ძირითად პრინციპებს, ასევე ტექსტისა და აბზაცის აგების ზოგად სტრუქტურას. ტრენინგზე ტრადიციად იქცა, რომ ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ მათი საქმიანობის პროცესში შექმნილი რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც გაანალიზდებოდა ათვისებული საკითხების გათვალისწინებით. ტრენინგი სრულდებოდა დოკუმენტაციის ენობრივი ანალიზითა და პრობლემათა შესახებ მსჯელობით, ასევე სწორ ვარიანტთა შეთავაზებითა და ახსნა-განმარტებებით. ამგვარმა მიდგომამ ტრენინგი პრაქტიკული და კონკრეტული დარგის სპეციალისტებისთვის საინტერესო გახადა. მეორე მხრივ კი, ენაში მოქმედი პრინციპები მექანიკურად გადავიდა მათ საქმიანობაში და მიღებული ცოდნა გახდა საშუალება, რომ თავად გამხდარიყვნენ მათ მიერვე შექმნილი ტექსტის რედაქტირების წარმმართველნი.

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) შექმნის შემდგომ იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაჩენილი ინიციატივა სრულად შეესაბამებოდა იმ პრინციპს, რომელიც სტრატეგიაში წარმოდგენილია საკითხით - **სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გამოწვევები.** ამდენად, აღნიშნული პროექტი არის საწყისი იმ ფართო სპექტრისა, რაც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და განვითარების სრულყოფილ პერსპექტივას გულისხმობს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ბოლო პერიოდში გამოცემულია მართლწერის არაერთი სახელმძღვანელო, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც

მოსწავლე-აბიტურიენტთა, ისე სხვა დაინტერესებულ პირთა წერითი მეტყველების დახვეწაში. თუმცა ამ სახელმძღვანელოთა, ერთი მხრივ, მოცულობითი და ზოგადი ხასიათი, მეორე მხრივ, მასში განხილული ნიმუშები არ არის საკმარისი გზამკვლევი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავად ქმნიან ოფიციალურ-საქმიან ტექსტებს, სპეციფიკურ დოკუმენტაციას და არაერთხელ აღმოჩნდებიან სხვადასხვა პრობლემის წინაშე. ამგვარი პრობლემებისა და შეკითხვებისათვის ამომწურავი, ცალსახა, მარტივად აღსაქმელი და ასევე დასაბუთებული პასუხის პოვნა საკმაოდ რთულია (მაგალითად, სახელმძღვანელოებში არის განმარტება სათაურების მართლწერასთან დაკავშირებით, მაგრამ მათში არაა ასახული ის პრობლემები, რომლებიც ჩნდება დაწესებულებათა ან კომპანიათა სახელწოდებების დაწერილობასთან დაკავშირებით). პრობლემაზე პასუხის ძიების პროცესს ართულებს ხანმოკლე დროში დიდი მოცულობის ტექსტის შექმნის აუცილებლობაც და სპეციფიკური საცნობარო მასალის არარსებობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ენათმეცნიერთა მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში, ბუნებრივია, ზოგადი საკითხებია განხილული და არა სპეციფიკური დოკუმენტაციის ენა. ამ უკანასკნელისთვის კი აუცილებელია კონკრეტულ პრობლემათა ანალიზი და გარკვეული რეკომენდაციები, რათა დოკუმენტის შემდგენელმა ეფექტურად იხელმძღვანელოს მისით. აშკარად შეიქმნა სიცარიელე, რომლის ამოვსების მცდელობა სწორედ აღნიშნული პროექტია.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი მათში გამოყენებული ენობრივი კონსტრუქციების, ტერმინებისა და მართლწერის საკითხების შეფასების მიზნით. ანალიზის საფუძველზე ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება. აღნიშნული ამოცანა არის „2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგია)" 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილი, რომელშიც იუსტიციის სასწავლო ცენტრი არის ჩართული (სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, https://enadep.gov.ge/uploads/______2021-2022__.pdf).

პროექტის ფარგლებში გაანალიზდა რამდენიმე ორგანიზაციიდან (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ იუსტიციის სახლი, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მოწოდებული მასალა (განმარტებითი ბარათი, ხელწერილი, ოქმი, საჩივარი,

რეკომენდაცია, ხელშეკრულება...). მასალის დამუშავების შემდეგ ენობრივი ხარვეზებისათვის შეიქმნა გარკვეული სისტემა, რომელიც აგებულია შემდეგ პრინციპზე: მოწოდებულია განსახილველი დოკუმენტიდან ამოღებული ფრაზა, წინადადება ან მონაკვეთი, მოცემულია ახსნა-განმარტება და რეკომენდაცია ენობრივი ხარვეზის გასწორების შესახებ და შემდგომ მოცემულია გასწორებული ვარიანტი:

ნიმუში:

• იურიდიულმა სამსახურმა განიხილა <u>თქვენი</u> მიმდინარე წლის 13 იანვრის ... <u>მომართვა,</u> რომლითაც ითხოვთ... • დაწესებულებამ განიხილა <u>თქვენი</u> 2021 წლის 25 სექტემბრის განცხადება...
სიტყვა „თქვენი“ შინაარსობრივად და სინტაქსურად უკავშირდება სიტყვას „მომართვა“ და წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს **„თქვენი მომართვა“.** ამდენად, ეს ორი წევრი ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი. ასევე: **თქვენი განცხადება**...
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: • იურიდიულმა სამსახურმა განიხილა მიმდინარე წლის 13 იანვრის ... **თქვენი მომართვა,** რომლითაც ითხოვთ... • დაწესებულებამ განიხილა 2021 წლის 25 სექტემბრის **თქვენი განცხადება**...

მონაცემთა დამუშავების დროს არ იყო გამოკვეთილი არც დაწესებულება, არც ტექსტის ტიპი და არც კონკრეტული დოკუმენტის სახეობა. ეს განაპირობა იმან, რომ კვლევის მიზანი იყო ტექსტებში არსებული ტიპური ხარვეზებისა და ენობრივი შეცდომების ზოგადი ანალიზი და არა კონკრეტული დაწესებულების დოკუმენტაციის ენობრივი გამართვა. ეს მიზანი შესაძლოა სხვა დროს დაისახოს, მაგრამ ამჯერად ეს შეუძლებელი იყო როგორც დროის სიმცირის, ისე მასალის მოცულობის გამო.

პროექტის მიზანია **კლასიფიცირებული და ტიპური შეცდომების გამოკვეთა და ზოგადი რეკომენდაციების გაცემა**, რათა შემდგომში მათზე დაყრდნობით მსგავსი პრობლემის გადაჭრა თავად ტექსტის შემდგენელმა შეძლოს. ამდენად, გაცემული რეკომენდაციები არის **მარტივ და ახსნით ლოგიკაზე დაფუძნებული** და არა ლინგვისტური განმარტებების შემცველი ან გრამატიკული ტერმინოლოგიით დატვირთული, ხოლო სწორი და არასწორი ვარიანტების

შედარება (რომლებიც ერთადაა წარმოდგენილი ნიმუშში), დაეხმარება დაინტერესებულ პირს, რომ კარგად გააანალიზოს პრობლემა და სამომავლოდ თავი აარიდოს მსგავს შეცდომას.

მასალის საკლასიფიკაციო სისტემა

დოკუმენტაციაში გამოვლენილი ენობრივი ხარვეზები ძირითადად ოთხ ჯგუფადაა დალაგებული:

1. პუნქტუაციური პრობლემები;
2. ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური შეცდომები;
3. სინტაქსური ხარვეზები;
4. სტილის ხარვეზები.

შეცდომათა კლასიფიკაციის ეს ფორმა განპირობებულია იმით, რომ ენობრივი ანალიზი რაც შეიძლება მარტივ სისტემას დაეფუძნოს, რათა შემდგომში ადვილი გახდეს პრობლემათა გამოვლენა და მათი გაცნობიერება. თითოეული ჯგუფი, რა თქმა უნდა, შიდა სახესხვაობებსაც მოიცავს, მაგრამ მათი განზოგადება და **ოთხ ძირითად საკითხად** წარმოდგენა ხელს შეუწყობს მთავარი პრინციპების უკეთ გამოყოფას და მომავალში მოსალოდნელი შეცდომებისაგან თავის არიდებას.

ზოგადად განვიხილოთ თითოეული ჯგუფი:

- **პუნქტუაციური პრობლემები** - ამ ჯგუფში წარმოდგენილია სამი საკითხი: 1. ბრჭყალების, ორწერტილის გამოყენება; 2. მძიმის დასმის აუცილებლობა; 3. არასაჭირო, ზედმეტი მძიმე (საკმაოდ გავრცელებული ხარვეზი, რაც ხშირად ართულებს აზრის გაგებას).
- **ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური შეცდომები** - უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის შეცდომები შედარებით მცირე რაოდენობით გამოვლინდა და იგი მხოლოდ ერთ ჯგუფს მოიცავს;
- **სინტაქსური ხარვეზები** - აქ რამდენიმე ქვეჯგუფია წარმოდგენილი: 1. სიტყვათა არასწორი რიგი (რაც აზრს აბუნდოვნებს); 2. არასწორი სინტაქსური კავშირები; 3. რიცხვში შეუთანხმებლობა; 4. ზერთული კონსტრუქციები (რაც ართულებს შინაარსის აღქმას);

- **სტილის ხარვეზები** - წარმოდგენილია ქვეჯგუფები: 1. კალკი; 2. აღწერითი კონსტრუქციები (ზმნის სწორი ფორმის გამოყენება აღწერითი კონსტრუქციის ნაცვლად); 3. ტავტოლოგია.

თავი II - კვლევის შედეგები და ზოგადი რეკომენდაციები

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია ის შეცდომები, რომლებიც დოკუმენტთა ნაწილში გამოვლინდა. ყოველ შეცდომას ახლავს მცირე რეკომენდაცია.

1. პუნქტუაციური პრობლემები

1.1. ბრჭყალების, ორწერტილის გამოყენება

ბრჭყალები

უწყება: სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ...
ორგანიზაციის დასახელება სათაურში ბრჭყალებითაა, ხოლო ძირითად ტექსტში - ბრჭყალების გარეშე. სასურველია ერთგვაროვნების დაცვა. ორგანიზაციის დასახელება ბრჭყალების გარეშე უნდა იყოს, რადგან ის არ წარმოადგენს საკუთარ სახელს, არამედ არის დაწესებულების დასახელება.
სწორი ვარიანტია: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის...

ორწერტილი

საჩივრის შემტანის ვინაობა, --- *(გვარი, სახელი, მისამართი, პირადი ნომერი/იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები)*
„ვინაობა“ სიტყვის შემდეგ უნდა იყოს **ორწერტილი** და არა მძიმე.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: საჩივრის შემტანის ვინაობა: --- *(გვარი, სახელი, მისამართი, პირადი ნომერი/იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები)*

1.2. მძიმის დასმის აუცილებლობა

დანართი

... განიხილა ... დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, ბატონი [სახელი, გვარი] საკანონმდებლო წინადადება.....

ფრაზაში „მსჯავრდებულის“ შემდეგ დასმული მძიმე მიუთითებს, რომ მომდევნო მონაცემი „ბატონი [სახელი, გვარი]“ დანართია. ამ შემთხვევაში მძიმე საჭიროა მეორე მხრიდანაც.

ამდენად, ფრაზა შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს ორი სახით:

1. დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, ბატონი **გურამ იაშვილის,** [1]საკანონმდებლო წინადადება.....
2. დაწესებულებაში განთავსებული **მსჯავრდებულ** ბატონი **გურამ იაშვილის** საკანონმდებლო წინადადება.....

შეადარეთ:

სახელობითი - მსჯავრდებული გურამ იაშვილი

მოთხრობითი - მსჯავრდებულმა გურამ იაშვილმა

მიცემითი - მსჯავრდებულ გურამ იაშვილს

ნათესაობითი - მსჯავრდებულ გურამ იაშვილის

მოქმედებითი - მსჯავრდებულ გურამ იაშვილით

ვითარებითი - მსჯავრდებულ გურამ იაშვილად

წოდებითი - მსჯავრდებულო გურამ იაშვილო

[1] ტექსტში მოცემული სახელი და გვარი არის გამოგონილი, საკითხის საილუსტრაციოდ.

სახელობითი - ბატონი გურამ იაშვილი

მოთხრობითი - ბატონმა გურამ იაშვილმა

მიცემითი - ბატონ გურამ იაშვილს

ნათესაობითი - ბატონი გურამ იაშვილის

მოქმედებითი - ბატონი გურამ იაშვილით

ვითარებითი - ბატონ გურამ იაშვილად

წოდებითი - ბატონო გურამ იაშვილო

სახელობითი - მსჯავრდებული ბატონი გურამ იაშვილი

მოთხრობითი - მსჯავრდებულ**მა** ბატონმა გურამ იაშვილმა

მიცემითი - მსჯავრდებულ ბატონ გურამ იაშვილს

ნათესაობითი - მსჯავრდებულ ბატონი გურამ იაშვილის

მოქმედებითი - მსჯავრდებულ ბატონი გურამ იაშვილით

ვითარებითი - მსჯავრდებულ ბატონ გურამ იაშვილად

წოდებითი - მსჯავრდებულ**ო** ბატონო გურამ იაშვილო

აქვე დგება საკითხი მსაზღვრელის („ბატონი“) გამოყენების შესახებაც. უმჯობესია, **ოფიციალური** ტექსტი წარმოდგენილი იყოს ამ ტიპის მსაზღვრელის გარეშე. მსაზღვრელი „ბატონი“ გამოხატავს განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობას და ავლენს პირად და თავაზიან დამოკიდებულებას. ოფიციალურ ტექსტში კი არ უნდა ჩანდეს პირადი ან ემოციური დამოკიდებულება.

საბოლოოდ, ფრაზა ამგვარად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

1. დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, **გურამ იაშვილის,** საკანონმდებლო წინადადება.....

2. [redacted] დაწესებულებაში განთავსებული **მსჯავრდებულ გურამ იაშვილის** საკანონმდებლო წინადადება.....

განკერძოებული გარემოება

გასაუბრება ჩატარდა 2021 წლის 01 დეკემბერს, ქ. თბილისში, [redacted] ქ. №2-ში მდებარე სსიპ „[redacted]“ ადმინისტრაციულ შენობაში.
ინფორმაციაში მოცემულია გასაუბრების ჩატარების **დრო** (2021 წლის 01 დეკემბერს) და **ადგილი** (ქ. თბილისში). თუმცა ადგილი დაკონკრეტებულია მისამართით ([redacted] ქ. №2-ში). ეს უკანასკნელი წარმოადგენს **განკერძოებულ გარემოებას.** დროის გარემოება და ადგილის გარემოება წინადადების სრულმნიშვნელოვანი წევრებია, ამიტომ მათ შორის მძიმე არ დაიწერება. ხოლო განკერძოებული გარემოება მძიმეებით გამოიყოფა ძირითადი გარემოებისაგან, რადგან ის წარმოადგენს დროის გარემოების დამატებით ინფორმაციას.
ფრაზა უნდა გაიმართოს ამგვარად: გასაუბრება ჩატარდა 2021 წლის 01 დეკემბერს ქ. თბილისში, [redacted] ქ. №2-ში მდებარე სსიპ „[redacted]“ ადმინისტრაციულ შენობაში.

ჩართული

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებ, რომ ...
„თანახმად“ სიტყვის შემცველი ფრაზა არის **ჩართული,** რომელიც აღნიშნავს აზრის წყაროს და წინადადების სხვა წევრებისაგან იგი გამოიყოფა მძიმით.
ფრაზა უნდა გაიმართოს ამგვარად: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ვადასტურებ, რომ ...

ერთის მხრივ, საქართველოს [redacted] სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურდიული პირი - [redacted] (შემდგომში- სააგენტო), წარმოდგენილი თავმჯდომარის, ლევან შანიძის [2]მიერ და მეორეს მხრივ, სსიპ [redacted] სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ანა გეწაძის [3]მიერ ...

ხელშეკრულების შაბლონში ხშირად გამოიყენება განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები და ისინი დამატებით ინფორმაციას გამოხატავენ წინადადებით გამოთქმული აზრის შესახებ. განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მიეკუთვნება **ჩართული** და **დანართი.**

ერთი მხრივ - არის ჩართული, რომელიც ტექსტში მოცემული ინფორმაციის სტრუქტურირების მაჩვენებელია. ის მძიმეებით გამოიყოფა და უნდა დაიწეროს სწორი ფორმით - **ერთი მხრივ, ... მეორე მხრივ,** ...

ასევე დანართის სახითაა მოცემული თავმჯდომარის სახელი და გვარი, დანართი კი ორივე მხრიდან უნდა გამოიყოს მძიმით: წარმოდგენილია თავმჯდომარის, [სახელი და გვარი] მიერ...

ფრაზა უნდა გაიმართოს ამგვარად:

ერთი მხრივ, საქართველოს [redacted] სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურდიული პირი - [redacted] (შემდგომში- სააგენტო), **წარმოდგენილი თავმჯდომარის, ლევან შანიძის, მიერ** და **მეორე მხრივ,** სსიპ [redacted] სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), **წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ანა გეწაძის, მიერ** ...

[2] ტექსტში მოცემული სახელი და გვარი არის გამოგონილი, საკითხის საილუსტრაციოდ.
[3] ტექსტში მოცემული სახელი და გვარი არის გამოგონილი, საკითხის საილუსტრაციოდ.

1.3. არასაჭირო, ზედმეტი მძიმე

- სამინისტრო, ზოგადად, მხარს უჭერს საჯარო და კერძო სტრუქტურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს...
- ამასთან, საჭიროა, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურად შეფასდეს...
- საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებულია, რომ საბიუჯეტო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, აგრეთვე, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და ტენდერებში გამარჯვებულ სამეწარმეო საზოგადოებებში სავალდებულო გახდეს თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის ნასამართლევ პირთაგან დაკომპლექტება.

იურიდიულ ტექსტებში ხშირად ჩართულადაა წარმოდგენილი **აგრეთვე, ზოგადად, ამასთან** - თუმცა ტექსტებში არაა ერთგვაროვნება.

ეს სიტყვები ჩართულია იმ შემთხვევაში, თუ **მთელ წინადადებას** მიემართება. თუ ისინი წინადადების რომელიმე წევრს მიემართება, მაშინ არ წარმოადგენს ჩართულს და არ გამოიყოფა მძიმეებით. მოცემულ შემთხვევებში ეს სიტყვები არ არის ჩართული და ამდენად მძიმეც არაა საჭირო.

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

- სამინისტრო **ზოგადად** მხარს უჭერს საჯარო და კერძო სტრუქტურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს...
- **ამასთან ერთად** საჭიროა, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურად შეფასდეს...
- საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებულია, რომ საბიუჯეტო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, **აგრეთვე** არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და ტენდერებში გამარჯვებულ სამეწარმეო საზოგადოებებში სავალდებულო გახდეს თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის ნასამართლევ პირთაგან დაკომპლექტება.

საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1^5 პუნქტის, საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:
მძიმე ზედმეტია, არაა საჭირო, რადგან **„საფუძველზე“** წარმოადგენს წინადადების წევრს, რომელსაც შინაარსობრივი და სინტაქსური კავშირი აქვს წინადადების სხვა წევრებთან.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1^5 **პუნქტის საფუძველზე** წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

ინფრასტრუქტურული და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს სააგენტოს შესაბამისი ინსტრუქცია.
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები. წინადადების პირველი ნაწილი ორგანულად უკავშირდება მეორე ნაწილს.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ინფრასტრუქტურული და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს სააგენტოს შესაბამისი ინსტრუქცია.

„ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა **გადაიხადოს დამკვეთმა** შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით **შესრულებისათვის.**

• ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე <u>კონტროლს, კომპეტენციის შესაბამისად,</u> განახორციელებს ბიუროს სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი. • ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე <u>კონტროლს, კომპეტენციის შესაბამისად,</u> განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: • ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს კომპეტენციის შესაბამისად განახორციელებს ბიუროს სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი. • ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს კომპეტენციის შესაბამისად განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

სააგენტო ვალდებულია: სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებისას, დაიცვას ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესები;
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: **სააგენტო ვალდებულია:** სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებისას დაიცვას ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესები;

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ხელმოწერილია მხარეების მიერ.
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ხელმოწერილია მხარეების მიერ.

მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების გაწევის შემდეგ, შემსრულებლის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

ფრაზაში რამდენიმე ხარვეზია:

- მძიმე არაა საჭირო;
- სასურველია, წინადადების მეორე ნაწილი შემოკლდეს და უფრო ნათლად გადმოიცეს - **შემმოწმებლის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე.**

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემმოწმებლის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე.

[redacted] საქმეში არსებული მასალებით ასევე <u>დასტურდება,</u> რომ საქმისმწარმოებლის მიმართვის <u>საფუძველზე,</u> 2017 წლის 13 ივლისს სსიპ [redacted] სააგენტოს მიერ მოწოდებული <u>ინფორმაციით,</u> დასტურდება, რომ [redacted] ფურცელში მითითებული კრედიტორი ... გარდაცვლილია 2012 წლის 29 აპრილს...

ფრაზაში ორ ადგილას ზედმეტია მძიმე. „საფუძველზე“ და „ინფორმაციით“ სიტყვების შემდეგ მძიმე არაა საჭირო, რადგან ორივე სიტყვა წინადადების წევრია (კერძოდ, უბრალო დამატებაა).

გარდა ამისა, განმეორებულია **„დასტურდება“,** რაც ფრაზის შინაარსს აბუნდოვნებს.

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

[redacted] საქმეში არსებული მასალებით ასევე დასტურდება, რომ საქმისმწარმოებლის მიმართვის **საფუძველზე და** 2017 წლის 13 ივლისს სსიპ [redacted] სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით [redacted] ფურცელში მითითებული კრედიტორი ... გარდაცვლილია 2012 წლის 29 აპრილს...

მხარეთა შეთანხმებით, საერთაშორისო სამედიაციო მორიგება შეიძლება ცნოს და აღასრულოს სასამართლომ.
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: მხარეთა შეთანხმებით საერთაშორისო სამედიაციო მორიგება შეიძლება ცნოს და აღასრულოს სასამართლომ.

ამასთან, კონვენციის რატიფიცირების პარალელურად, საჭიროა მის დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.
მძიმე არაა საჭირო, რადგან წინადადება არ წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ასევე მასში არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ამასთან, კონვენციის რატიფიცირების პარალელურად საჭიროა მის დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.

2. ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური შეცდომები

• ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ... • მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.
ფორსმაჟორული - არის ერთცნებიანი კომპოზიტი, იწერება ერთად.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: • **ფორსმაჟორული** გარემოებების დადგომის შემთხვევაში ... • მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება **ფორსმაჟორული** გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

საჩივრების განხილვის პროცედურის შემდგომ ანგარიშებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის ოფიციალურ ვებ.გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კომიტეტის სესიების თაობაზე.
„ვებგვერდი“ ნეოლოგიზმია, რომელიც დამკვიდრდა ქართულში. ის არის ერთცნებიანი კომპოზიტი, ამიტომ უნდა დაიწეროს ერთად.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: საჩივრების განხილვის პროცედურის შემდგომ ანგარიშებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის ოფიციალურ **ვებგვერდზე** განთავსებულია ინფორმაცია კომიტეტის სესიების თაობაზე.

კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიმართ დასახელებული მოთხოვნის დაყენებისას, უპირველესად უნდა არსებობდეს მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი სამინისტროს ქმედებასა და იმ მორალურ ზიანს შორის, რაზედაც მოსარჩელე სარჩელში საუბრობს.
„მიზეზშედეგობრივი“ არის ერთცნებიანი კომპოზიტი, იწერება ერთად და მაწარმოებელი აფიქსი (-ობრივი) დაერთვის კომპოზიტის ბოლო ნაწილს. (იხ. http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=42&t=35843)
ფრაზა უნდა გაიმართოს ამგვარად: კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიმართ დასახელებული მოთხოვნის დაყენებისას, უპირველესად უნდა არსებობდეს **მიზეზშედეგობრივი** კავშირი სამინისტროს ქმედებასა და იმ მორალურ ზიანს შორის, რაზედაც მოსარჩელე სარჩელში საუბრობს.

თანდასწრებით შევადგინე ოქმი შემდეგზე: ………………

ოქმი შედგენილია ჩემს მიერ წაკითხულია ხმამაღლა, სწორია და ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ოქმის შედგენა დამთავრდა _______________ საათზე.

მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერმა: -----------

„მე“ ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა „ჩემ“. მას შეიძლება დაერთოს ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები როგორც შერწყმული, ისე ცალკე მდგომი: **ჩემგან, ჩემკენ, ჩემთვის, ჩემ მიმართ, ჩემ შესახებ, ჩემ გამო, ჩემ მიერ…** ამ ფორმებს არასოდეს არ უნდა დაერთოს „-ს“.

სასურველია, რომ ხელმოწერის წინ არსებული ტექსტი სახელობითი ბრუნვის ფორმით იყოს წარმოდგენილი. მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერი:

სწორია:

ოქმი შედგენილია **ჩემ მიერ** წაკითხულია ხმამაღლა, სწორია და ვადასტურებთ ხელის მოწერით.

………

მხარეთა ინტერესების დაცვის **მენეჯერი:**

ამასთან, მოცემულ ეტაპზე კონვენცია რატიფიცირებულია სინგაპურის, საუდის არაბეთის, კატარის, ბელარუსიის, ეკვადორისა და ფიჯის მიერ.

ყატარი - ქართულში ეს სახელწოდებაა სწორად მიჩნეული. იხ.: „ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“, https://enadep.gov.ge/uploads/Recommendations_for_Transcription_and_Transliteration_of_the_Arabic_Sound_System.pdf

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

ამასთან, მოცემულ ეტაპზე კონვენცია რატიფიცირებულია სინგაპურის, საუდის არაბეთის, **ყატარის,** ბელარუსიის, ეკვადორისა და ფიჯის მიერ.

2021 წლის 10 დეკემბერს, კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ სსიპ „[redacted]“ შესყიდვების სამსახურის მრჩევლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნეს ...

- **წარდგენილ იქნეს** - აღწერითი ვნებითია. მოცემულ შემთხვევაში კი უმჯობესია ზმნის აქტიური ფორმის გამოყენება, რადგან კონტექსტიდან ჩანს, რომ კანდიდატი კომისიამ წარადგინა. ვნებითის ფორმები კი გამოიყენება მაშინ, როცა არ ჩანს სუბიექტი. ამდენად, მოცემულ კონტექსტში ეს შინაარსობრივ პრობლემასაც ქმნის.
- ზედმეტია მძიმე (... დეკემბერს,)

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

2021 წლის 10 დეკემბერს **კომისიამ** იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ სსიპ „[redacted]“ შესყიდვების სამსახურის მრჩევლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად **წარადგინოს...**

… კანდიდატები შეფასებულ იქნენ პროფესიული ცოდნის, ასევე პიროვნული თვისებების მიხედვით, რომელთა ქულები დაჯამებულ იქნა კანდიდატთა ჯამური შეფასების ფორმაში (იხ. დანართი №2). კომისიის წევრების მიერ, კანდიდატების შეფასება მოხდა ხუთბალიანი შკალით. გასაუბრებაზე გამოსულმა ერთმა კანდიდატმა გადალახა სსიპ „[redacted]“ საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი 3 ქულიანი ბარიერი.

ტექსტში რამდენიმე ხარვეზია:

- „შეფასებულ იქნენ“, „დაჯამებულ იქნა“, „შეფასება მოხდა“ უმჯობესია წარმოდგენილი იყოს ზმნური (ვნებითის) ფორმებით: **შეფასდნენ, დაჯამდა, შეფასდა;**
- თუ სუბიექტი ჩანს, მაშინ უმჯობესია ზმნის აქტიური ფორმის გამოყენება - **„შეაფასეს“** (კომისიის წევრებმა შეაფასეს).
- მონაკვეთი სასურველია დაიყოს რამდენიმე წინადადებად, ამით თავიდან იქნება არიდებული სინტაქსური ხარვეზი (არასწორად გამოყენებული „რომელთა“ კავშირი; ის მიემართება მთავარი წინადადების სიტყვას „კანდიდატები“ და მასთან ახლოს უნდა იყოს);
- კომისიის წევრების მიერ - ამ ფრაზის შემდგომ მძიმე არაა საჭირო.
- „შკალა“ - კონტექსტისათვის შეუფერებელი სიტყვაა, უმჯობესია **„შეფასების სისტემა“**.
- სწორი დაწერილობაა: **3-ქულიანი**

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

… კანდიდატები **შეფასდნენ** პროფესიული ცოდნის, ასევე პიროვნული თვისებების მიხედვით. ქულები **დაჯამდა** კანდიდატთა ჯამური შეფასების ფორმაში (იხ. დანართი №2). **კომისიის წევრებმა** კანდიდატები **შეაფასეს** ხუთბალიანი **სისტემით.** გასაუბრებაზე გამოსულმა ერთმა კანდიდატმა გადალახა სსიპ „[redacted]“ საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი **3-ქულიანი** ბარიერი.

სწორედ ამიტომ, [redacted] სამინისტროს მიერ <u>შემუშავებულ იქნა</u> კანონპროექტი, რის შედეგადაც 2016 წელს <u>მიღებული იქნა</u> ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები.

აღწერითი ვნებითი დამახასიათებელია ოფიციალური-საქმიანი ენისათვის, თუმცა ყოველთვის არაა გამართლებული მისი გამოყენება. თუ მას ადვილად ჩაენაცვლება ზმნური ფორმა, უმჯობესია ზმნის გამოყენება.

მოცემულ წინადადებაში აღწერილობითი ვნებითის ორჯერ გამოყენება რამდენიმე ხარვეზს ქმნის:

- არის **ტავტოლოგია:**
- არაა **ერთგვაროვნება** (პირველ შემთხვევაში მიმღეობა გამოყენებულია ფუძის სახით (შემუშავებულ იქნა), მეორე შემთხვეაში სახელობითი ბრუნვის ფორმით (მიღებული იქნა), რაც არასწორია;

„შემუშავებულ იქნა“ ადვილად ჩანაცვლდება ზმნური ფორმით **„შემუშავდა“**, ხოლო მეორე ფორმა უნდა გასწორდეს ამგვარად: **„მიღებულ იქნა“**

ზოგადად, აღწერილობითი ვნებითის გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ✓ პირდაპირი წყობისას სწორი ფორმებია: ***განხილულ იქნა, შედგენილ იქნა…***
- ✓ შებრუნებული წყობისას სწორი ფორმებია: ***იქნა განხილული, იქნა შედგენილი.***
- ✓ წარსული დრო - ***დამტკიცებულ იქნა, გაანალიზებულ იქნა;***
- ✓ მომავალი დრო - ***დამტკიცებულ იქნეს, შემუშავებულ იქნეს…***

სასურველია უპირატესობა მიენიჭოს ზმნურ ფორმებს: ***შედგა, გაანალიზდა, დამტკიცდა, შემუშავდა…***

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

სწორედ ამიტომ იუ[redacted]ინისტროს მიერ **შემუშავდა** კანონპროექტი, რის შედეგადაც 2016 წელს **მიღებულ იქნა** ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები.

3. სინტაქსური ხარვეზები

3.1. სიტყვათა არასწორი რიგი

წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) <u>მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.</u>

„მისი გაცნობიდან“ - წარმოადგენს ერთმანეთთან სინტაქსურად და შინაარსობრივად დაკავშირებულ ფორმებს.

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით **მისი გაცნობის დღიდან** ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სამინისტრომ განიხილა ... საკანონმდებლო წინადადება <u>ყოფილი პატიმრების სახელმწიფოს მიერ დასაქმებისა</u> და რესოციალიზაციის შესახებ.

შესიტყვება **„ყოფილი პატიმრების დასაქმება და რესოციალიზაცია“** წარმოადგენს მართულ მსაზღვრელს და მისი გაყოფა აზრს აბუნდოვნებს. ხოლო ფრაზის **„სახელმწიფოს მიერ“** მიემართება მთელ ფრაზას და არა მის ერთ წევრს. (სხვა შემთხვევაში შესიტყვება გამოდის: ***ყოფილი პატიმრების სახელმწიფოს მიერ***... რაც არასწორი სიტყვათკავშირია)

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

საქართველოს სამინისტრომ განიხილა ... საკანონმდებლო წინადადება <u>**სახელმწიფოს მიერ** ყოფილი პატიმრების დასაქმებისა</u> და რესოციალიზაციის შესახებ.

ხელშეკრულების საგანია ბიუროს <u>მიერ</u> კანონმდებლობით დაკისრებული ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების <u>უზრუნველსაყოფად შესასრულებელი</u> გარკვეული მოქმედებების სააგენტოს <u>მიერ</u> <u>შესრულება.</u>
წინადადების შინაარსი ბუნდოვანია, რადგან მასში რამდენიმე **ტავტოლოგიაა** (*ბიუროს მიერ, სააგენტოს მიერ; შესასრულებელი, შესრულება*). გარდა ამისა, წინადადებაში პრობლემას ქმნის **სიტყვათა არასწორი რიგი**. რამდენადაც ხელშეკრულება ბიუროს მიერ არის დადებული, მსაზღვრელი წინ უნდა უძღოდეს საზღვრულს (ბიუროს ხელშეკრულება), ხოლო „კანონმდებლობით დაკისრებული“ კი უფრო ფართო მნიშვნელობის განსაზღვრებაა. ასევე ბუნდოვანია ფრაზა *„განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად შესასრულებელი გარკვეული მოქმედებების ... შესრულება“*. აღნიშნული ფრაზა შესაძლოა უფრო ნაკლები, მაგრამ მნიშვნელოვანი შინაარსის გამომხატველი სიტყვებით აიგოს. საყურადღებოა, რომ სიტყვათა სიმრავლე ხშირად უფრო მეტად კარგავს ფრაზის შინაარსს და ერთადერთი სწორი გადაწყვეტა ფრაზის გამარტივებაა. წინადადება უნდა იყოს მარტივი, ნათელი და ადვილად აღსაქმელი.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: **ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით დაკისრებული და ბიუროს ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება სააგენტოს მიერ.**

მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელ <u>ფარგლებში</u> ბიუროს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასა ან/და ბიუროს მიერ გამოყენებულ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებთან სააგენტოს თანამშრომლის დაშვების მიზნით, სააგენტოს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უზრუნველყოს მომხმარებლის სახელისა და შესაბამისი პაროლის გაწერა და სააგენტოსათვის მიწოდება.
• ინფორმაციის სტრუქტურირებისათვის აუცილებელია ინფორმაცია დალაგდეს მისი მნიშვნელობის მიხედვით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის ღირებული კონკრეტულ ინფორმაციაში: **დრო, ადგილი, მოქმედება, მიზანი...** • მოცემულ ტექსტში შესაძლებელია რამდენიმე საკითხი გამოიყოს: **მიზანი - მოქმედება - დრო**. ამდენად, უმჯობესია ინფორმაციაც ამ თანმიმდევრობით დალაგდეს. ეს ხელს შეუწყობს ტექსტის უკეთ აღქმას და ინფორმაციის უდანაკარგოდ მიწოდებას. • სიტყვა „ფარგლებში“ *(„მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელ <u>ფარგლებში“)</u>* ვერ აკონკრეტებს დროს და უმჯობესია მიეთითოს **დროის** გამომხატველი ფორმა; ხოლო დროის დასაკონკრეტებლად კი უმჯობესია დანართის **„კერძოდ,“** გამოყენება. • გასათვალისწინებელია, რომ **მიზნის** გამომხატველი სიტყვა ან შესიტყვება არის წინადადების წევრი და იგი მძიმით არ გამოიყოფა სხვა წევრებისაგან.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ბიუროს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასა ან/და ბიუროს მიერ გამოყენებულ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებთან სააგენტოს თანამშრომლის დაშვების **მიზნით უზრუნველყოს** მომხმარებლის სახელისა და შესაბამისი პაროლის გაწერა და სააგენტოსათვის მიწოდება მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელ **<u>დროში,</u> კერძოდ,** სააგენტოს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

3.2. არასწორი სინტაქსური კავშირები

...მიზანშეწონილია, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა საბიუჯეტო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, აგრეთვე, კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმების საკითხები, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, გადაწყდეს ბენეფიციართა მხრიდან სსიპ „[redacted]" დანერგილი მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების გავლის შემდეგ, ამავე სააგენტოს რეკომენდაციით.

სასურველია, რომ შესიტყვების (ანუ სინტაქსური წყვილების) შემადგენელი ერთეულები ერთად ან ახლო პოზიციაში იყოს წარმოდგენილი. ეს აადვილებს წინადადების წევრთა შორის არსებული შინაარსობრივი კავშირების შენარჩუნებას და აზრის ნათლად აღქმას. მოცემული წინადადების საყრდენი შესიტყვებებია **მიზანშეწონილია გადაწყდეს, დასაქმების საკითხები**. უკვე არაერთხელ მითითებული ორგანიზაციების ვრცელი ჩამონათვალი აფერხებს წინადადების მთავარი აზრის გაგებას.

გარდა ამისა, წინადადების ასევე მთავარი აზრის შემცველი შესიტყვებები - **პროგრამების გავლის შემდეგ, ამავე სააგენტოს რეკომენდაციით** - სტრუქტურულად იმგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ მისი შინაარსი არ დაიკარგოს უკვე არაერთხელ განმეორებულ ჩამონათვალში. ასევე აფერხებს აზრის ნათლად გაგებას ზედმეტი მძიმე (პროგრამების გავლის შემდეგ,).

ამდენად, უმჯობესი იქნება ჩამონათვალი არ განმეორდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში მიეთითოს ამგვარად: **ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებში.**

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

მიზანშეწონილია, **რომ** [**ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებში**] მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა **დასაქმების საკითხები გადაწყდეს** „[redacted]" დანერგილი მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის **პროგრამების გავლის შემდეგ** და **ამავე სააგენტოს რეკომენდაციით.**

აღსრულების შეჩერებით აღმასრულებელი <u>კანონისმიერად</u> <u>არის შებოჭილი</u> განახორციელოს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები, მოცემულ <u>შემთხვევაში,</u> გარდაცვლილი კრედიტორების სასარგებლოდ მოახდინოს იძულებითი აღსრულება. აღსრულების შეჩერებით <u>ხდება</u> სააღსრულებო მოქმედებების დროში <u>გადაანაცვლება</u> მხოლოდ იმ ვადით, <u>რაც</u> აუცილებელია აღსრულების შეჩერების განმაპირობებელი გარემოების აღმოსაფხვრელად.

ფრაზაში რამდენიმე ხარვეზია:

- ზედმეტია მძიმე („მოცემულ შემთხვევაში,“);
- ბუნდოვანია ფრაზის მნიშვნელობა: „კანონისმიერად არის შებოჭილი“, უმჯობესი იქნება: **კანონით არის შეზღუდული;** ასევე სასურველია ჩაერთოს კავშირი „**რომ**“, რათა კონსტრუქცია უფრო გამართული და ფრაზა უფრო ადვილად აღსაქმელი იყოს;
- ხდება გადანაცვლება - **გადაინაცვლებს**
- სწორი კავშირი იქნება **- .. იმ ვადით, რომელიც..**

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

აღსრულების შეჩერებით აღმასრულებელი **კანონით არის შეზღუდული, რომ** განახორციელოს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები, მოცემულ შემთხვევაში გარდაცვლილი კრედიტორების სასარგებლოდ მოახდინოს იძულებითი აღსრულება. აღსრულების შეჩერებით სააღსრულებო მოქმედებები დროში **გადაინაცვლებს** მხოლოდ იმ ვადით, **რომელიც** აუცილებელია აღსრულების შეჩერების განმაპირობებელი გარემოების აღმოსაფხვრელად.

3.3. რიცხვში შეუთანხმებლობა

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, <u>როგორიცაა</u> წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი <u>მოქმედებები თუ</u> ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
კავშირი „როგორიცაა“ წარმოდგენილი უნდა იყოს **მრავლობითი** რიცხვის ფორმით, რადგან იგი მიემართება მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ სიტყვას **„გარემოებებით, როგორებიცაა“** და ასევე არის განმაზოგადებელი სიტყვა მის შემდეგ ჩამოთვლილი რამდენიმე მოვლენისათვის. ასევე მძიმეა საჭირო „**თუ**“ მაქვემდებარებელი კავშირის წინ.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი **გარემოებებით, როგორებიცაა** წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი **მოქმედებები, თუ** ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

(მოთხოვნის მოცულობა, ის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც ემყარება მოთხოვნა)
კავშირი **„რომელსაც"** მიემართება მთავარი წინადადების სიტყვას **„საფუძვლები".** რადგან მისამართი სიტყვა მრავლობითშია წარმოდგენილი, კავშირიც მრავლობითი რიცხვის ფორმით უნდა იყოს **(...საფუძვლები, რომლებსაც...)**.
ფრაზა უნდა გაიმართოს ამგვარად: *(მოთხოვნის მოცულობა, ის ფაქტობრივი და სამართლებრივი **საფუძვლები, რომლებსაც** ემყარება მოთხოვნა)*

3.4. ზერთული კონსტრუქციები

[redacted] სამინისტრო, ზოგადად, მხარს უჭერს საჯარო და კერძო სტრუქტურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს <u>ამ უკანასკნელთა</u> მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, რომლის მისაღწევადაც სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „[redacted]“ ახორციელებს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებს/პროექტებს როგორც პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ.
ზერთული კონსტრუქციები ქმნის პრობლემას არა მარტო ტექსტის აგების პროცესში, ანუ წერისას, არამედ კითხვის დროსაც. ასეთი ტექსტი რთულია აღსაქმელად და აზრი ბუნდოვანია. ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ამგვარი ზერთული კონსტრუქციის **დაყოფა და მისი წარმოდგენა რამდენიმე წინადადებად.** წერის პროცესში ეს ხშირად განპირობებულია იმით, რომ ტექსტის ავტორი ცდილობს მცირე მონაკვეთში ჩაატიოს გარკვეული შინაარსი და აზრი განუყოფელი წინადადების სახით წარმოადგინოს, რაც ძალიან ხშირად წარმოშობს გრამატიკულ შეცდომებსაც. გამართული სტილის მთავარი მახასიათებელია აზრის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემა. ეს პრინციპი კი ამ ტიპის წინადადებაში ირღვევა და აზრი ბუნდოვანი ხდება. ხშირად ასეთი მონაკვეთები რამდენჯერმე მოითხოვს წაკითხვას, რომ აზრი გასაგები გახდეს. ეს კი ტექსტის დიდი ნაკლი და სტილისტური ხარვეზია. შეცდომებისაგან არიდების მთავარი პრინციპია, რომ ამგვარი კონსტრუქციები **დაიშალოს და გაიშალოს.** მოცემულ კონსტრუქციაში სამი წინადადება გამოიყოფა. ეს გააადვილებს აზრის გაგებას და ტექსტი უფრო აღქმადი ხდება. მოცემულ მონაკვეთში ასევე ზედმეტია სიტყვა „ამ უკანასკნელთა“.
ამდენად, მოცემული მონაკვეთი ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ: [redacted] სამინისტრო ზოგადად მხარს უჭერს საჯარო და კერძო სტრუქტურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობისაკენ მიმართულ

ღონისძიებებს. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედებს „[redacted]“. იგი ახორციელებს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებს/პროექტებს როგორც პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ.

აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ მიუხედავად [redacted] სამინისტროს სისტემის მზაობისა მსჯავრდებულთა /ყოფილ პატიმართა დასაქმების, მათი პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით, გასათვალისწინებელია კანონმდებლობით და ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული მთელი რიგი გარემოებებისა საბიუჯეტო დაწესებულებებში.

ზერთული კონსტრუქციები, ანუ შინაარსის ერთი წინადადებით გამოთქმის მცდელობა, ართულებს აზრის გაგებას. ასევე შინაარსს აბუნდოვნებს ერთგვარი დაბოლოებების (სუფიქსების) მრავლად გამოყენება (იხილეთ ხაზგასმული ფორმები). აუცილებელია ამგვარი კონსტრუქციები **დაიშალოს და გაიშალოს** იმგვარად, რომ აზრი ნათლად გადმოიცეს.

უნდა მოიშალოს ერთგვარი დაბოლოებები, ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ **„არსებობს“** ზმნა და არა ფრაზა *„მიუხედავად მზაობისა“.* აზრი გაიყოს ორ წინადადებად და მაკავშირებელი „მიუხედავად ამისა“ (უმჯობესია, **„თუმცა“** მაპირისპირებელი კავშირის გამოყენება) კი გადავიდეს მეორე წინადადებაში.

მოცემული მონაკვეთი ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

[redacted] **სამინისტროს სისტემაში არსებობს მზაობა** მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა დასაქმების, მათი პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით. **მიუხედავად ამისა, [თუმცა]** მხედველობაში მისაღებია და გასათვალისწინებელია საბიუჯეტო დაწესებულებების კანონმდებლობით და ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული მთელი რიგი გარემოებები.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, აგრეთვე, კერძო სამართლის სამეწარმეო (მათ შორის, სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული) თუ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ასეთი გარემოებებია: პოზიციის/თანამდებობის/შტატის არარსებობა, რომელზედაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმდება; პირის ვაკანტურ თანამდებობაზე სხვადასხვა სახის კონკურსის საფუძველზე დანიშვნის ვალდებულება (მიზანშეწონილობა), შესაბამისი პოზიციისათვის კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ....

„არის“ ზმნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეკუმშული ფორმით (**არის > ა**) და დაერთოს წინადადების ერთ-ერთ წევრს. თუმცა ეს ყოველთვის არ არის გამართლებული. მოცემულ წინადადებაში აზრს აბუნდოვნებს ზმნის მოკლე ფორმის გამოყენება. ოფიციალური ტექსტებში სასურველია **„არის“** ზმნის სრული ფორმა იყოს გამოყენებული ან ის ჩანაცვლდეს სინონიმური და კონტექსტის მიხედვით უფრო მნიშვნელოვანი შინაარსის გამომხატველი ზმნური ფორმით: უმჯობესი იქნება **„არსებობს“** ზმნის გამოყენება, ან შესაძლოა უფრო კონკრეტული შინაარსის წამოწევაც: **ხელისშემშლელია შემდეგი გარემოებები:**

ასევე პრობლემას ქმნის ზედმეტი მძიმე, რომელიც ინტონაციური პაუზისთვის არის გამოყენებული და არასაჭიროა.

მოცემული მონაკვეთი ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, **აგრეთვე** კერძო სამართლის სამეწარმეო (მათ შორის, სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული) თუ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობასთან **დაკავშირებით არსებობს ასეთი გარემოებები [ხელისშემშლელია შემდეგი გარემოებები]:** პოზიციის/თანამდებობის/შტატის არარსებობა, რომელზედაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმდება; პირის ვაკანტურ თანამდებობაზე სხვადასხვა სახის კონკურსის საფუძველზე დანიშვნის ვალდებულება (მიზანშეწონილობა), შესაბამისი პოზიციისათვის კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ....

4. სტილის ხარვეზები

4.1. კალკი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, ...კონვენციის მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ...
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე - წარმოადგენს კალკს. უმჯობესია მის ნაცვლად ქართული და უფრო ტევადი ფრაზის გამოყენება: **ამის გათვალისწინებით, ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,** ...
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ყოველივე ზემოაღნიშნულის **გათვალისწინებით,** ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, **....** ...კონვენციის მიზნებისა და შინაარსის **გათვალისწინებით,** ...

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი, ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების (სამედიაციო მორიგება) აღსრულების მექანიზმებს, თუმცა, არ მოიცავს მედიაციის შედეგად მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებების აღსრულებას, რაზეც აპელირებს კონვენცია.

„აპელირებს“ კალკია, სასურველია ქართული შესატყვისი ტერმინის გამოყენება: მიუთითებს, აღნიშნავს...

„თუმცა“ კავშირია, ამიტომ მის შემდეგ არ იწერება მძიმე.

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი, ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების (სამედიაციო მორიგება) აღსრულების მექანიზმებს, **თუმცა** არ მოიცავს მედიაციის შედეგად მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებების აღსრულებას, რაზეც **მიუთითებს** კონვენცია.

- მიმდინარე ინსპექტირებისას დავასკვენი შემდეგი:
- დამკვეთი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მომსახურების ხარისხის და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

უმჯობესია გამოყენებული იყოს დასკვნითი მსჯელობისათვის შესაფერისი ენობრივი საშუალება: **დასკვნის სახით წარმოვადგენთ...**

„მიმდინარე ინსპექტირებისას“ - არის კალკი, უმჯობესი იქნება ქართული შესატყვისის გამოყენება - **შემოწმება.**

„აწარმოოს ინსპექტირება“ - **შეამოწმოს.**

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

- **შემოწმების** შედეგებს წარმოვადგენთ **დასკვნის** სახით...
- დამკვეთი ორგანიზაცია უფლებამოსილია **შეამოწმოს მომსახურების ხარისხი და მოცულობა** ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ხელმოწერისა და მისი სავალდებულოდ აღიარებისას საქართველოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კონვენციით <u>დაშვებული ორი დათქმის გაკეთება,</u> რამდენადაც ისინი უზრუნველყოფს კონვენციით შემოთავაზებული მექანიზმების დაბალანსებულად გამოყენების შესაძლებლობას;
„დათქმის გაკეთება“ კალკია. სასურველია ფრაზა გაიმართოს ქართულისათვის შესაფერისის კონსტრუქციით; **დაშვებული ორი დათქმა...**
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ხელმოწერისა და მისი სავალდებულოდ აღიარებისას საქართველოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კონვენციით **დაშვებული ორი დათქმა,** რამდენადაც **ის უზრუნველყოფს** კონვენციით შემოთავაზებული მექანიზმების დაბალანსებულად გამოყენების შესაძლებლობას;

4.2. აღწერითი კონსტრუქციები (ზმნის სწორი ფორმის გამოყენება აღწერითი კონსტრუქციის ნაცვლად)

სააგენტო უფლებამოსილია, <u>შესაბამისი</u> პროგრამის <u>მეშვეობით, განახორციელოს</u> სააგენტოს მიერ <u>გამოცემული, იძულებით</u> აღსრულებას დაქვემდებარებული აქტის/აქტების და სააღსრულებო ფურცლის/ფურცლების <u>შესაბამის</u> პროგრამაში ატვირთვა.
მძიმე ზედმეტია, არაა საჭირო, რადგან პირველ შემთხვევაში მოცემული წევრები წარმოადგენს სინტაქსურ წყვილს: ***პროგრამის მეშვეობით განახორციელოს;*** ხოლო მეორე შემთხვევაში ***„სააგენტოს მიერ გამოცემული“*** უკავშირდება ***„აქტებს“*** და ***„ფურცლებს“*** და წარმოადგენს მათ მსაზღვრელს. წინადადებაში ორჯერაა გამოყენებული სიტყვა **„შესაბამისი“,** რაც სტილისტურ ხარვეზს ქმნის, სასურველია შეიცვალოს (მაგალითად: ***სპეციალური პროგრამის მეშვეობით***). უმჯობესია მთელი წინადადება გაიმართოს სტილისტურად: *„განახორციელოს ატვირთვა“* ფრაზის ნაცვლად იყოს **„ატვირთოს“.**
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: სააგენტო უფლებამოსილია, **შესაბამის პროგრამაში ატვირთოს** სააგენტოს მიერ გამოცემული იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტი/აქტები და სააღსრულებო ფურცელი/ფურცლები.

მომსახურების <u>გაწევას</u> შემსრულებელი <u>განახორციელებს</u> <u>მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებით.</u>
„მომსახურების გაწევას განახორციელებს“ **- სწორია: მომსახურებას გაუწევს** „მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებით“ - **სწორია: მსუბუქი ავტომობილით**
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: **შემსრულებელი მომსახურებას გაუწევს მსუბუქი ავტომობილით.**

ამ დანაწესის შესაბამისად, კონვენციის სავალდებულოდ აღიარება, რაც უნდა <u>განხორციელდეს</u> საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების გზით, მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო <u>ცვლილებების განხორციელებას</u> საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, ...
მოცემულ ფრაზაში ტავტოლოგიას ქმნის სიტყვები **„განხორციელდეს“ და „განხორციელებას“.** გარდა ამისა, შესიტყვება **„ცვლილებების განხორციელებას“** სასურველია ჩანაცვლდეს უფრო სწორი ფორმით - **მოითხოვს ... ცვლილებებს.**
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ამ დანაწესის შესაბამისად, კონვენციის სავალდებულოდ აღიარება, რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების გზით, **მოითხოვს** სათანადო საკანონმდებლო **ცვლილებებს** საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, ...

- ასევე, ითხოვთ განმარტებას გარდაცვლილი კრედიტორების უფლებამონაცვლეების დადგენამდე უნდა მოხდეს თუ არა ცოცხალი კრედიტორების სასარგებლოდ მოვალის უძრავი ქონებების აუქციონზე რეალიზაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ:
- აქვე, დამატებით, თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ [redacted] წარმოების მასალებში დაცულ ინფორმაციაზე, იმის შესახებ, რომ 2015 წლის ივნისის თვეში განხორციელდა მოვალის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია და აუქციონი დასრულდა უშედეგოდ.

მოცემულ ფრაზებში არის რამდენიმე ხარვეზი:

- რამდენიმე ადგილას ზედმეტია მძიმე.
- სიტყვა „რეალიზაცია“ ბუნდოვანი შინაარსისაა. რიგითი მოქალაქისთვის გაუგებარია, იგულისხმება გაყიდვა თუ აუქციონზე გასაყიდად გატანა.
- სასურველია „მოხდეს რეალიზაცია“ და „განხორციელდა რეალიზაცია“ ჩანაცვლდეს უფრო გასაგები ფორმებით.

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

- **ასევე** ითხოვთ განმარტებას გარდაცვლილი კრედიტორების უფლებამონაცვლეების დადგენამდე **შესაძლებელია თუ არა** ცოცხალი კრედიტორების სასარგებლოდ მოვალის უძრავი ქონებების **აუქციონზე გასაყიდად გატანა.** აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ: ...
- **აქვე დამატებით** თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ [redacted] წარმოების მასალებში დაცულ **ინფორმაციაზე** იმის შესახებ, რომ 2015 წლის ივნისის თვეში მოვალის საკუთრებაში არსებული ქონება **გატანილი იყო აუქციონზე, მაგრამ** აუქციონი დასრულდა უშედეგოდ.

განსაზღვროს სააგენტოსგან დასმული შეკითხვების მიღებასა და ბიუროს მიერ პასუხის მომზადებასა და მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი.
ქართულ ენაში არის მართლწერის ამგვარი პრინციპი: თუ ორ ან მეტ სიტყვას ერთი და იგივე თანდებული დაერთვის და შეერთებულია **და** კავშირით, ასეთ შემთხვევაში უშუალოდ **და**-ს წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ, გავრცობილი ფორმით გამოიყენება: ***თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში...*** მოცემულ წინადადებაში თანდებული დაერთვის სამ წევრს (მიღებაზე, მომზადებაზე და მიწოდებაზე). სასურველია მხოლოდ ერთი **და** კავშირის გამოყენება, ამდენად უთანდებულოდ წარმოდგენილი იქნება **და**-ს წინ მდგომი ფორმა.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: განსაზღვროს სააგენტოსგან დასმული შეკითხვების **მიღებაზე,** ბიუროს მიერ პასუხის **მომზადებასა** და **მიწოდებაზე** პასუხისმგებელი პირი.

4.3. ტავტოლოგია (სიტყვათა არასაჭირო გამეორება)

საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურის) წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომსახურების განხორციელებაზე, აცნობოს სააგენტოს შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.
წინადადებაში რამდენჯერმე მეორდება **-ზე** თანდებულიანი ფორმები, რაც სტილის პრობლემას ქმნის და აზრის გაგებას აფერხებს. სასურველია ***„თაობაზე“*** ფორმა ჩანაცვლდეს მისი სინონიმური ვარიანტით **„შესახებ“.** ასევე სასურველია სიტყვათა რიგი იმგვარად შეიცვალოს, რომ დასაწყისში იყოს ვალდებულება, ხოლო შემდეგ ამ ვალდებულებათა დეტალური ახსნა. (იხ. ვარიანტი 2)
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: ვარიანტი 1: საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურის) წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების **შესახებ,** რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომსახურების განხორციელებაზე, აცნობოს სააგენტოს შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევაში - დაუყოვნებლივ. ვარიანტი 2: **აცნობოს სააგენტოს იმ შეფერხებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომსახურების განხორციელებაზე:** საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურის) წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების შესახებ **აცნობოს** შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.

მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლასთან <u>დაკავშირებით,</u> თუ აღნიშნული ცვლილება/ცვლილების პროექტი გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ <u>განსახორციელებელი</u> მოქმედებების <u>განხორციელებაზე.</u>
ტავტოლოგია სიტყვის არასაჭირო განმეორებაა, სტილის ხარვეზია და აუცილებელია მისი მოხსნა. **მოცემულ წინადადებაში ტავტოლოგიას ქმნის** „განსახორციელებელი“ და „განხორციელებაზე“. ერთ-ერთი მათგანი უნდა შეიცვალოს.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული ცვლილება/ცვლილების პროექტი გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ **ჩასატარებელი** მოქმედებების განხორციელებაზე.

<u>უფლებამოსილი პირის</u> (სარეგისტრაციო განცხადების მიმღების) თანდასწრებით გარიგებაზე ხელმოწერის დროს <u>უფლებამოსილი პირის მიერ ხდება</u> მხოლოდ გარიგებაზე ხელმომწერი პირის იდენტიფიკაცია და მის მიერ ხელმოწერის ფაქტის <u>დადასტურება.</u>
ფრაზაში რამდენიმე ხარვეზია: • ტავტოლოგია; • „ხდება დადასტურება“ - სწორია: **ადასტურებს**
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: უფლებამოსილი პირი (სარეგისტრაციო განცხადების მიმღები) **ადასტურებს** მხოლოდ გარიგებაზე ხელმომწერი პირის [**ვინაობას**] იდენტიფიკაციას და ხელმოწერის ფაქტს.

სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების პროცესში, ბიუროს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განსახორციელებლად და არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის.
მოცემულ წინადადებაში ტავტოლოგიას ქმნის „განხორციელების“ და „განსახორციელებლად“. მეორე ფორმა შეიძლება შეიცვალოს ამგვარად: ***„გათვალისწინებული მოქმედებებისათვის“*** ასევე ზედმეტია მძიმე წინადადების პირველ ნაწილში, რადგან არაა რთული სინტაქსური კონსტრუქცია, ასევე არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების პროცესში ბიუროს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მოქმედებებისათვის** და არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის.

საკუთარ ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურასთან) დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო ჩაატარონ იმგვარად, რომ ამით არ შეფერხდეს მეორე მხარის სამუშაო პროცესის მიმდინარეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკიდან ან/და გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლებელია აღნიშნული მოთხოვნის შესრულება.
მოცემულ წინადადებაში ტავტოლოგიას ქმნის „მიმდინარეობა“ და „გამომდინარე“. გარდა ამისა, რუსული ენის კალკადაა მიჩნეული ფრაზა “აქედან/ფაქტიდან გამომდინარე“, რომლის ქართული ანალოგია **„ამის/ფაქტის გათვალისწინებით“.** ამდენად სასურველია მოცემულ წინადადებაში ქართული შესიტყვების გამოყენება, რაც თავისთავად მოხსნის ტავტოლოგიას.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: საკუთარ ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის პროგრამულ ინფრასტრუქტურასთან) დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო ჩაატარონ იმგვარად, რომ ამით არ შეფერხდეს მეორე მხარის სამუშაო პროცესის მიმდინარეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩასატარებელი სამუშაოს **სპეციფიკის** ან/და გადაუდებელი **საჭიროების გათვალისწინებით,** შეუძლებელია აღნიშნული მოთხოვნის შესრულება.

მხარე, <u>რომელსაც</u> შეექმნა <u>გარემოება,</u> <u>რომელიც</u> შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას, 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების მეორე მხარეს ვალდებულებების <u>შეუსრულებლობის</u> მიზეზებს და მათი <u>შესრულების</u> მოსალოდნელ თარიღს, რის <u>შემდეგაც,</u> ნაკისრი ვალდებულებების <u>შესრულება</u> მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გადაიდოს შესაბამისი <u>გარემოების</u> გაგრძელების ვადით.
მოცემულ წინადადებაში ტავტოლოგიას ქმნის კავშირი „რომელსაც“, „რომელიც“, გარდა ამისა, განმეორებულია სიტყვები „გარემოება“, „შესრულება“. ყოველივე ეს ფრაზის შინაარსს აბუნდოვნებს. სასურველია, აზრი ორ წინადადებად დაიყოს და ისე გაიმართოს, რომ ტავტოლოგია ავირიდოთ. ასევე ზედმეტია მძიმე წინადადების მეორე ნაწილში (რის შემდეგაც,), რადგან არაა რთული სინტაქსური კონსტრუქცია, ასევე არაა არც განკერძოება და არც ერთგვარი წევრები.
უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად: **ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებების შექმნის შემთხვევაში** ერთმა მხარემ 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს **როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზები, ასევე თარიღი, თუ როდის იქნება შესაძლებელი ვალდებულების შესრულება.** ამის შემდეგ კი ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გადაიდოს გარკვეული ვადით.

ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც:

ა) დადებულია იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც წარმოიშობა ერთ-ერთი მხარის (მომხმარებლის) მიერ პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის დადებული გარიგებიდან;

მოცემულ წინადადებაში ტავტოლოგიას ქმნის „დადებულია“, „დადებული“. სასურველია, რომ ერთ-ერთი შეიცვალოს.

უმჯობესია, ფრაზა გაიმართოს ამგვარად:

ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც:

ა) დადებულია იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც წარმოიშობა ერთ-ერთი მხარის (მომხმარებლის) მიერ პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის **გაფორმებული** გარიგებიდან;

თავი III – სამომავლო პერსპექტივები

კვლევამ გამოავლინა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ოფიციალური დოკუმენტაციის ენისათვის არის დამახასიათებელი. ამ ეტაპზე კვლევას ზოგადი ხასიათი ჰქონდა, თუმცა ის მოიცავს იმ ძირითად საკითხებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება ამგვარ ტექსტებზე მომუშავე პირებს. რეკომენდაციების გაცნობის შემდგომ საკითხით დაინტერესებული პირები შეძლებენ გარკვეული ტიპის პრობლემათა გათვალისწინებას და მათგან თავის არიდებას. ამ ეტაპზე გაცემული რეკომენდაციები მათ დაეხმარებათ თავად შეაფასონ პრობლემა და თავადვე გადაჭრან იგი. თუმცა ამ მიმართულებით სამომავლოდ უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო, სახელდობრ:

- ✓ აუცილებელია სპეციალური გზამკვლევის/დამხმარე რესურსის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ვერსიის) შექმნა, რომელშიც გაანალიზებული იქნება არა მარტო შეცდომები და მოწოდებული იქნება მცირე რეკომენდაციები, არამედ შედარებით სრულად იქნება წარმოდგენილი ის ძირითადი პრინციპები, რასაც ეფუძნება სწორად წერა;
- ✓ სასურველია, ასეთი მასალისათვის შეიქმნას სპეციალური საინტერნეტო გვერდი, რომელიც აღიჭურვება საძიებო სისტემით და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად იქნება შესაძლებელი საინტერესო ფორმის მოძიება, ამისათვის კი წინასწარ უნდა დამუშავდეს მასალა. აღნიშნული გვერდი პერიოდულად შეივსება საჭირო და ახალი მასალით;
- ✓ სასურველია, ამუშავდეს რედაქტორის და სტაჟიორის პროგრამები, რათა ენობრივ მასალაზე დაკვირვებას სისტემატური ხასიათი მიეცეს.
- ✓ სტაჟიორის პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში სასურველია, სტაჟიორებს წინასწარ ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგი, რათა ისინი აღიჭურვონ სათანადო ცოდნითა და უნარებით, რაც ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენაზე დაკვირვებას სჭირდება;
- ✓ სასურველია, პერიოდულად და დაინტერესების შემთხვევაში ჩატარდეს მიზნობრივი ტრენინგები, რომლებზეც განხილული იქნება როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხები.